ოქმი:**ო03. 3724235001**

თარიღი:**22/08/2024**

ოქმი № 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2024 წელი, 21 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

14.00-14 .30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, ტ. აროშიძე, ლ. ბიგვავა, ს. ქარცივაძე, ბ. მელუა, გ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: გ. ჩაგანავა

სხდომის თავმჯდომარემ, გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, განაცხადა, რომ ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი შემოსულია არსებული კანონმდებლობის დაცვით, ნორმატიული სამართლებრივი აქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა გ. ჩაგანავამ, რომელმაც აღნიშნა- ბიუჯეტი იზრდება 4.358 ათასი ლარით, შემდეგ კონკრეტულად დაასახელა მთავრობის ის გადაწყვეტილებები, რომლის შესაბამისადაც გამოყოფილი იქნა დამატებითი ასიგნებები, ისაუბრა საკუთარი შემოსავლებით მიღებულ ზრდაზე, მუხლებს შორის თანხების ცვლილებებზე, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრმა ს. ქარცივაძემ დასვა შეკითხვა- რატომ მცირდება ოხკოდაავადებულთა ხარჯები 50 ათასი ლარით? განუმარტეს, რომ მუხლში დარჩა გაუხარჯავი თანხა, რომელიც გადანაცვლდება სხვა მუხლში, საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი დაბრუნება. ს. ქარცივაძემ აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ ბიუჯეტის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში გაითვალისწინებენ 18 წელს გადაცილებული შ.შ.მ პირების სამედიცინო დახმარევბას.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა- პროექტი მიანიშნებს, რომ შემოსავლები ბიუჯეტში იზრდება იმაზე მეტი ტემპით,

რაც დაგეგმილი იყო, მოსალოდნელია ბიუჯეტმა გადალახოს 80 მილიონიანი ზღვარი, ეს მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტი ეკონომიკურად სტაბილუტად ვითარდება.

კომისიის წევრმა გ. შილაკაძემ განაცხადა, რომ კარგი იქნება თუ მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინებენ მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე ვეტერანებისთვის შეღავათებს.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გააცნო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნის პროექტი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტების საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წრდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარედგინოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი